მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲘᲕᲐᲜᲘ) №9 (367) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

დანი აიალონი:
საქართველო და ისრაელი ბუნებრივი მოკავშირეები არიან

ᲓᲐᲜᲘ ᲐᲘᲐᲚᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

21-24 მაისს საქართველოს დედაქალაქს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქნესეთის წევრი დანი აიალონი ეწვია. ბატონი აიალონი ვიზიტის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, დავით ჯალაღანიას და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. ეწვია უშიშროების საბჭოს. ესტუმრა საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს აკაკი მინაშვილს და სხვა ოფიციალურ პირებს.

შეხვედრებზე მხარეებმა კულტურულ, სამრეწველო, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკურ და სხვა დარგებში სამომავლო თანამშრომლობის გაზრდაზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის ტურისტული კავშირის გაღრმავებაზე.

ბატონმა აიალონმა ისრაელის საგარეო პოლიტიკის შესახებ საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლების ფონდში ლექციაც გამართა.

საქართველოს და ისრაელს უძველესი ტრადიციები და ფასეულობები აქვთ. სწორედ ამიტომ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის ბუნებრივი მოკავშირეა, განაცხადა მინისტრის მოადგილემ ვიზიტის დროს. აქ ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გასაღრმავებლად ჩამოვედი, განსაკუთრებით აღვნიშნავდი ტურიზმის სექტორს, რომელსაც საქართველოში უდიდესი პოტენციალი აქვს. ასევე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო და საგანმანათლებლო კავშირების გამოყენება. ვიზიტის დროს საშუალება მომეცა ვწვეოდი საქართველოს ისტორიულ ადგილებს. ქვეყნის სილამაზითა და ხალხის სითბოთი და სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებული დავრჩი. აქ თავი საკუთარ სახლში მეგონა და, დარწმუნებული ვარ ქართველებიც სწორედ ასე იგრძნობენ თავს ისრაელში. მართალია, ქართველი და ებრაელი ხალხი რაოდენობრივად მცირე ერებია, მაგრამ ჩვენ უდიდესი წარსული და ბრწყინვალე მომავალი გვაქვს.

რონენ პლოტი მიიჩნევს, რომ...

24 მაისს „რედისონ ბლუ ივერიაში“ ისრაელის პროპაგანდისა და დიასპორის მინისტრის მოადგილეს — რონენ პლოტსა და ქართული მედიის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. მაღალჩინოსანი საქართველოში რამდენიმე დღით იმყოფებოდა და მისი ჩამოსვლის მიზანი საქართველოს უკეთ გაცნობა იყო. შეხვედრა სასიამოვნო ვითარებაში გაიმართა. მინისტრის მოადგილე ურთიერთობაში ძალიან უშუალო იყო. მან ისაუბრა საკუთარ თავზე, ოჯახზე, ასევე ისრაელის მიღწევებზე და ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობაზე, რასაც დიდი ისტორია აქვს. იმედი დაიტოვა, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება და ისრაელი საქართველოს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში აქტიურად გაუწევს დახმარებას. ასევე აღნიშნა, რომ საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში უწევს მოგზაურობა და ასეთი შეკრული თემი როგორიც საქართველოშია არსად უნახავს, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ქართული კულტურა და ჩვეულებები აქვთ შეთვისებული. ბოლოს მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებსაც გასცა პასუხი.

მილოცვა
ვიცე-პრეზიდენტ მერაბ ელაშვილს

პატივცემულო მერაბ ისაკის-ძევ!

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელები და თანამშრომლები გილოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს ის, რომ თქვენ — ებრაული სათემო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული და გულუხვი მეცენატი, ხართ ჩვენი კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

თქვენი საქველმოქმედო მოღვაწეობა შეიძლება სამაგალითოდ იქცეს ყოველი მეცენატისათვის.

თანახმად ებრაული ტრადიციისა, გისურვებთ 120 წლის სიცოცხლეს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს სურვილს შეისმენს ქვეყნიერების შემოქმედი და თქვენ წინ გაქვთ ახალი გამარჯვებები.

თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს. იმედი გვაქვს, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელებისა.

ევრაზიის ებრაული კონგრესის გენერალური მდივანი, პროფესორი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲩᲚᲔᲜᲝᲕᲘ
გენერალური საბჭოს თავმჯდომარე
ᲘᲝᲡᲘᲤ ᲖᲘᲡᲔᲚᲡᲘ

სულიერების დიდი მისია ანუ

„გამჩენს ჩემთვის არჩევანის უფლება რომ მოეცა, მეორედ დაბადების ადგილად, აუცილებლად, საქართველოს ავირჩევდი“

ივნისის დამდეგს საქართველოს ეწვია ისრაელის ქართველ ებრაელ რაბინთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია. „ხაბადის“ ეგიდით გამართულ ამ მისიაში მონაწილეობდნენ ისრაელის ქალაქების ცნობილი ქართველი ებრაელი რაბინები.

დელეგაციის სტუმრობის მიზანი გახლდათ საქართველოს ებრაული ყოფის ღრმად გაცნობა. ამ მიზნით დელეგაციის წევრები ეწვივნენ ებრაულ ორგანიზაციებს, ესაუბრნენ თემის წევრებს, გაემგზავრნენ რეგიონებში.

3 ივნისს კი სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ „სოხნუთის“ საქართველოს წარმომადგენლობამ გამართა დელეგაციისა და თბილისის საზოგადოებრიობის შეხვედრა, რომელიც გახსნა სოხნუთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ავი ოფირმა; **ავი ოფირი** მიესალმა დელეგაციის თბილისში ჩამოსვლას, მიიჩნია იგი მნიშვნელოვან მოვლენად, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის ეს არისო დიდი სულიერი სტიმული და აღნიშნა:

— მე საქართველოში, აფხაზეთში დავიბადე, აღვიზარდე ისრაელში, მაგრამ საქართველო, ქართული ყოფა ცხოვრების განუყრელი ნაწილია, ეს სიყვარული ოჯახმა ჩამინერგა.

დსთ-ს ქვეყნებში „სოხნუთის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელი **რომან პოლონსკი**:

— სიმართლე გითხრათ, მიჭირს იმის შესახებ საუბარი, რაც დღეს ვნახე, ძალიან მიხარია თქვენთან ერთად ამ სასიამოვნო საღამოს გატარება. სოხნუთი დიდი ორგანიზაციაა, ჩვენ ბევრ ქვეყანაში ვმუშაობთ, მაგრამ ჩემი მოგზაურობის დროს ძალიან იშვიათად და შეიძლება არსად შევხვედრივარ ასეთ თბილ და ნამდვილ ურთიერთობას, რასაც აქ ვგრძნობ. დიდი მადლობა რაბინების დელეგაციას, რომელიც ისრაელიდან ჩამოვიდა და ენერგიით, სულიერებით გვავსებს. ორი დღეა თბილისში ვარ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დიდი ხანია აქ ვიმყოფები. თქვენ პირველები იყავით, რომლებმაც 1968 წელს გადეთ ხიდი ისრაელთან. თქვენ იყავით ისინი, რომლებმაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში ებრაული ტრადიციები შეინარჩუნეთ. ძალიან გვინდა თქვენი ისრაელში ნახვა, მაგრამ როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოთ, ყოველთვის ერთგულ პარტნიორებად გვიგულეთ. ჩვენ ერთად კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **იცხაკ გერბერგი**.

— მოგესალმებით ყველას, ძალიან მიხარია, რომ ვხედავ ბევრ ხალხს, განსაკუთრებით ის მახარებს, რომ თქვენს შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდა და ბავშვია. მოგეხსენებათ, ებრაული თემი საქართველოში ძალიან დიდი არ გახლავთ და ჩვენ ერთად ყოფნის დიდი სურვილი გვაქვს. უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა მოვახსენო ,,სოხნუთს“ ამ ღონისძიების ჩატარებისთვის ,,სოხნუთი“ ბევრ კარგ საქმეს აკეთებს — არის ხიდი აქაურობასა და ისრაელს შორის. საქართველოში ებრაელობასა და ქართველებს შორის არის ტრადიციული კავშირი, რომელიც, როგორც ცნობილია, 2600 წლის განმავლობაში გრძელდება. ნამდვილად საამაყოა, რომ საქართველოში არ ყოფილა ანტისემიტიზმი. საქართველოსა და ისრაელს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ და სწორედ ამ ურთიერთობის გამო ისრაელში ასვლა უფრო მეტად ძნელდება. ჩვენ ყველას ძალიან გვჭირდებით ისრაელში, მაგრამ სანამ ეს მოხდება, აქაც არის ბევრი რამ გასაკეთებელი. მათ შორის ივრითის შესწავლა. მთავარია, რომ ყველას გვახსოვდეს ჩვენი სახელმწიფო ჩვენი სახლია. კარგი იქნება, რომ მომავალში ჩვენი შეხვედრის ადგილი ისრაელი იყოს.

ქალაქ ლუდის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი **იცხაკ მოძღვრიშვილი**:

— საღამო მშვიდობისა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს საღამო. თბილისს აქვს ძალიან დიდი წარსული, ისევე როგორც ებრაელ ერს და ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობას. ეს არის საისტორიო საღამო ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის. მე ვუსურვებ მთელი მსოფლიოს და განსაკუთრებით საქართველოს ჯამაათს, რომ ასულიყოს ერეც ისრაელში. ჩვენ ბევრი კარგი დღესასწაული გვაქვს, ერთ-ერთი არის ხანუქა, ეს ის დღესასწაულია, როდესაც ღმერთმა დაგვიხსნა მტრებისგან და გაგვათავისუფლა. ჩვენ ამ დღესასწაულს სანთლების ანთებით აღვნიშნავთ. ოჯახებში ვანთებთ სანთლებს და ვადიდებთ გამჩენს. სანთელი არის გამაშუქებელი. ყველა ვალდებულნი ვართ, მომავალ თაობას გზა გავუნათოთ. სამი დღეა, რაც ჩამოვედით, ბევრ ადგილას ვიყავით და სასიამოვნოდ გაკვირვებულნი ვართ თბილისის ჯამაათის მშვენიერებით. მოვინახულეთ დიდი და პატარა ლოცვა. ვნახეთ, თუ რა დიდი სითბო ტრიალებს თბილისის ჯამაათში. გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას, გისურვებთ ერეც ისრაელში მალე ასვლას, მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ამ საღამოს ორგანიზატორს ავი ოფირს.

აშდოდის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინმა **იაკობ გაგულაშვილმა** ისაუბრა სათემო ყოფაში მშვიდობიანი ურთიერთობის თაობაზე, მოიგონა ქართველ ებრაელთა თავდადება რწმენის შენარჩუნებისათვის, გაიხსენა, ონის რაბინის — მოსე ბუზუკაშვილის გმირული თავდადება ონის ბეით ქნესეთის გადარჩენისათვის, როცა კომუნისტურ ხელისუფლებას მისი დანგრევა ეწადა და დასძინა:

— ჩვენ ბავშვები ვიყავით, როდესაც საქართველო დავტოვეთ, დღეს კი დავბრუნდით რელიგიური მოღვაწეების სახით. საქართველომ მშობა და ისრაელმა გამზარდა. ჩვენ ტრადიციული ერი ვართ და არაფერს ვივიწყებთ. მე ამ თემით ვამაყობ. საქართველოში ებრაელობამ თავგანწირვით შეინახა ტრადიციები. მეამაყება, რომ ამ თემში, ამ დიდებულ ქვეყანაში ვარ დაბადებული. გამჩენს ჩემთვის არჩევანის უფლება რომ მოეცა, მეორედ დაბადების ადგილად აუცილებლად საქართველოს ავირჩევდი.

ქალაქ კირიათ ათას მთავარი რაბინი **აბრამ აჯიაშვილი**:

— პირველ რიგში მივესალმები ჩვენს სტუმრებს, ისრაელის ელჩს საქართველოში, „სოხნუთის“ წარმომადგენლებს. 9 წლის წინ თბილისში ავი ოფირის მამის — იაკობ ოფირის მოწვევით ვიყავი ჩამოსული. არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მაშინაც ითქვა, რომ ებრაელმა ერმა მსოფლიოს სინათლე მოუტანა და ეს სინათლე არის თორა. ერთი კვირის წინ ჩვენ აღვნიშნეთ თორის მიღების დღე, მას შემდეგ 3326 წელი გავიდა. იმ დღიდან თორაში აღნიშნული მცნებები მუდმივად ინარჩუნებდა აქტუალურობას და ყოველთვის ასე იქნება. მან არა მარტო ებრაელ ერს, მსოფლიოს შესძინა დიდი განძი. მსოფლიოში არც ერთი წიგნი არ არის ამდენ ენაზე ნათარგმნი, როგორც თორა. ებრაელი ერი არ შეიცვლება, არ დაიშლება — იყო, არის და იქნება, ჩვენ არ ვივიწყებთ იმ სახელმწიფოს, სადაც დავიბადეთ. სიკეთის, სიყვარულის გარდა, ჩვენ საქართველოსთვის არაფერი მიგვიცია და ამ ქვეყანაშიც ყოველთვის იგივეს ვგრძნობთ.

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

ტიმოთე გაბაშვილი

(წერილი მეორე)

ებრაული საკითხისადმი XVIII საუკუნის ცნობილი მწერლის, ღვთისმსახურისა და მოგზაურის ტიმოთე გაბაშვილის (დაბადების თარიღი უცნობია, გარდაიცვალა 1764 წ.) დამოკიდებულება ფაქტობრივად მისი იერუსალიმური შთაბეჭდილებების მოთხრობით შემოიფარგლება. როგორც ცნობილია, წმინდა ადგილების მონახულებისა და მოლოცვის მიზნით 1755-1759 წლებში მან საბერძნეთსა და პალესტინაში იმოგზაურა, რის შედეგადაც მიღებული შთაბეჭდილებები საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ აღწერა მოგზაურული ხასიათის ნაწარმოებში - „მიმოსვლა“.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. გაბაშვილის მოგზაურობის უმთავრესი მიზანი რელიგიური ინტერესებით იყო განსაზღვრული, მისი წიგნის თვალსაწიერი გაცილებით უფრო ფართოა და მრავალმხრივი. საბერძნეთისა და ისრაელის საეკლესიო ცენტრების აღწერა-დახასიათებასთან ერთად მწერალი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და თანადროული ყოფის უაღრესად საინტერესო საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას. „მიმოსვლის“, როგორც ისტორიულ-დოკუმენტური წყაროს, მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი ისრაელის, საბერძნეთის, თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების შესახებაც გვაწვდის მრავალმხრივ საგულისხმო ცნობებსა და ინფორმაციებს.

როგორც „მიმოსვლიდან“ ნათლად ჩანს, იმდროინდელ ისრაელს არა თუ სახელმწიფოებრივი სტატუსის არანაირი ფორმა არ ჰქონდა დამკვიდრებული, არამედ მთელი ქვეყანა უცხოელ დამპყრობთა სათარეშო ასპარეზად იყო გადაქცეული. ამ მოვლენას იმდენად დიდი მასშტაბები ჰქონდა შეძენილი, რომ საკუთარი სამშობლოდან საუკუნეების წინათ განდევნილი ებრაელები კვლავაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაეძებდნენ თავშესაფარს. ტ. გაბაშვილის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ იერუსალიმში და ისრაელის სხვა სოფელ-ქალაქებში ებრაელთა ნაცვლად არაბები, თურქები და სხვა მოდგმის ხალხი იყო დამკვიდრებული.

ისრაელში მყოფი მწერალი ხშირად უსვამს ხოლმე ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს ქვეყანა იმხანად თურქთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა სუფევდა მაჰმადიანი არაბებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც სპეციალური დაცვის გარეშე გავლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. მაგალითად, მწერალი უღრმეს გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ იერუსალიმში ჩასული მომლოცველები, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ქალაქ ნაზარეთში, „სადაცა აღზრდილ იყო უფალი“, „გზისა სიშორისათვის და შიშისათვის არაბთასა“ შესვლას ვერ ახერხებდნენ.

მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების მიზნით მლოცველები იძულებულნი იყვნენ წმინდა ადგილების დასათვალიერებლად ხშირად თურქი ჯარისკაცების თანხლებით ევლოთ.

ისრაელის წმინდა მიწაზე მოგზაურობის პერიოდში ტ. გაბაშვილს ბიბლიიდან და ამ ქვეყნის ისტორიიდან კარგად ცნობილი თითქმის ყველა ადგილი მოუნახულებია. ესენია: ნაზარეთი, ბეთლემი, გალილეა, ბეთანია, ლოდი, კესარია, იაფო, ღაზა, ტიბერია... გოლგოთის, სიონის, ლიბანის, ქარმელისა და ზეთისხილის მთები...

მიუხედავად იმისა, რომ „მიმოსვლაში“ საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი დასახელებულ ადგილებში მწერლის მოგზაურობის ამბავი, ტ. გაბაშვილის ნაწარმოების უმთავრესი მიზანი მაინც იერუსალიმის წმინდა ადგილების დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემაა. იერუსალიმში მწერალი და მისი თანამგზავრები ქალაქ რუმლიდან (რამლადან) გამგზავრებულან.

ტ. გაბაშვილი ემოციური აღტკინებით აღწერს იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე იერუსალიმს, როგორც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილსა და ქრისტიანული რელიგიის სამშობლოდ ქცეულ ქალაქს, მოუხდენია. თუმცა, იგი არც იერუსალიმის ქრისტიანობამდელ ისტორიას ტოვებს უყურადღებოდ და მისი უძველესი ბიბლიური წარსულის შესახებაც საუბრობს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით.

იერუსალიმში ყოფნის პერიოდში ტიმოთეს არა მარტო ქრისტიანული სიწმინდეები დაუთვალიერებია, არამედ ბიბლიიდან კარგად ცნობილი ძველებრაული ღირსშესანიშნაობებიც. ამ ადგილების დათვალიერების შედეგად მიღებული უმძაფრესი შთაბეჭდილებები „მიმოსვლაში“ თუმცა ავტორისათვის ჩვეული ლაკონიზმით, მაგრამ უდიდესი ემოციური აღტკინებითაა გადმოცემული.

იერუსალიმში მყოფი ტიმოთე, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს იმ ეკლესია-მონასტრებისადმი იჩენდა, რომლებიც წარსულში ქართველთა კუთვნილებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების მიერ აგებულ ამ სალოცავებში იმხანად აღარც ერთი ქართველი ღვთისმსახური არ იყო დარჩენილი და ეს ეკლესიები უკვე უცხოელ ღვთისმსახურებს ჰქონდათ მისაკუთრებული, მათში მაინც საკმაოდ იყო შემორჩენილი ქართული სიწმინდეები, კულტურულ-მატერიალური ფასეულობები და წარწერები.

ტ. გაბაშვილმა, როგორც თავისი ქვეყნის იმჟამინდელი შესაძლებლობების არსში ღრმად გარკვეულმა მამულიშვილმა, კარგად იცოდა, რომ თუმცა ისტორიულად ჩვენთვის კუთვნილ ამ ეკლესია-მონასტრებს იოლად არავინ დაგვიბრუნებდა, მაგრამ თუკი გულით მოვინდომებდით, იმის გაკეთება ნამდვილად შეგვეძლო, იერუსალიმის რომელიმე მონასტერში ერთი ქართველი ბერი მაინც გვყოლოდა დაყუდებული, რომელიც „ძველთა მიცვალებულთათვის მოხსენებას არ მოშლიდა და ქრისტეს საფლავისა ზედა გოლგოთას და სხვათა მონასტერთა შინა კანდელს არ დაავსებდა“. „ვინათგან მოკვდავნი ვართ, ამის უბრწყინვალეს ალაგს სადა ვპოვებთ და სად მოიხსენიებოდეს ჩვენი სული?! ანუ რისთვის დაუგდიათ ესოდენი ჭირნახული?“ — სინანულით დაასკვნის ხილული სინამდვილით გულნატკენი მწერალი და ორსაუკუნენახევარზე მეტი ხნის წინათ წარმოთქმული ამ მძაფრად პატრიოტული სიტყვებით ფაქტობრივად დღევანდელი ქართველების გულისტკივილსაც გამოხატავს.

რაბინებმა ვაჟებს ბარ მიცვა მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ერთ-ერთი იყო რეუვენ ხუხაშვილი, რომელმაც სიტყვაც წარმოსთქვა.

რეუვენ ხუხაშვილი: დიდი მადლობას მოგახსენებთ ჩამობრძანებისთვის. ადრე შეიძლება ბევრს არ ეგონა, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი ძლიერი ჯამაათი იყო. თქვენი ჩამოსვლა ჯამაათისთვის დიდი სტიმულია. როდესაც ხალხი ხედავს, რომ თქვენ ასე ახლოს ხართ გამჩენთან, ამის სურვილი მათაც უჩნდებათ. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით ჩამობრძანებისთვის. ბარ მიცვა ყოველი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვობიდან გამოდიხარ და გარკვეული საკითხების გადაწყვეტა დამოუკიდებლად გიწევს

გაიმართა პროფესორ ეთერ თოფჩიაშვილ-გიგინეიშვილის წიგნის „ებრაული სიმბოლოების“ პრეზენტაცია, რომელიც ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ დაფინანსებით გამოიცა.

ეთერ თოფჩიაშვილ-გიგინეიშვილი: უპირველ ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გამჩენს, რომ ამ დღეს მოვესწარი. შემდეგ ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობას და მის ხელმძღვანელს — ავი ოფირს, რომელიც მხარში ამომიდგა და წიგნის გამოცემაში დამეხმარა. წიგნის — ,,ებრაული სიმბოლოების“ გამოცემის იდეა ორი თვის წინ გაჩნდა, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რომელიც წიგნების გამოცემას ეხებოდა, მაშინ ავი ოფირს ვთხოვე დახმარება წიგნის გამოცემაში და მან აასრულა თავისი დანაპირები. ამ წიგნს საფუძვლად დაედო ლექციების ციკლი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვკითხულობ თბილისის ებრაულ სათემო სახლში, პროგრამით ,,ებრაული სიმბოლიკა და ტრადიცია“. ებრაული სიმბოლოები ებრაელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს.

საღამო საზეიმო სუფრით დასრულდა.

ნინო შავაძე

რედაქციისაგან: საქართველოს ებრაელობა იყო და უწინდებურად რჩება ეროვნული ტრადიციების ერთგული. ამ თემში კვლავაც ძლიერია გამჩენის სამსახურის რწმენა, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით, რასაკვირველია, არის რიგი ნაკლოვანებებისა. ამიტომ ,,ხაბადის“ ინიციატივა, მისი დაინტერესება საქართველოში მიმდინარე პროცესებით, მისასალმებელ ფაქტად მიგვაჩნია. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს დაინტერესება არ იქნება ერთჯერადი აქტი და ,,ხაბადი“ სერიოზულად მოეკიდება ჩვენს ჯამაათში არსებულ პრობლემებს. ,,ხაბადს“ ძალუძს სერიოზული როლის შესრულება საქართველოს ებრაელებში სულიერების გაძლიერების საქმეში, სულიერების გაძლიერება-განმტკიცება კი თავიდათავი საქმეა. ყველაფერი აქედან იწყება.

ქართული პალესტინიანა

იცხაკ დავიდი

(დასაწყისი იხ. „მ“ №4,5,6)

გარდა ამისა, საქართველოს შიდა სოციალურ-ეკონომიური ვითარება და ის პოლიტიკურ-რელიგიური კონსტელაცია, რომელშიც მას უხდებოდა ყოფნა სხვადასხვა დროს, საუკუნეების მანძილზე, თავის შესაბამის ასახვას პოულობნენ საქართველოს ეკლესიის ოფიციალური ეკლესიისა და სახელმწ. ხელისუფალთა, კერძოდ მეფე-მინისტრების მდგომარეობაზე, მათ პოზიციებზე პალესტინაში. ე.ი. საქართველოს ეკლესიის გარკვეული უცხოეთური განშტოების არსებობა თვით საქართველოს ეკლესიის სიძლიერესა და საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. არაბთა ხანგრძლივი ბატონობა საქართველოში, სხვა ხალხთა თუ ტომთა ხშირი თავდასხმები, პალესტინისკენ ქართველ ბერთა პილიგრიმობის გზაზე დამაბრკოლებელ ფაქტებს წარმოადგენდნენ.

საქართველო-პალესტინის ისტორიული ურთიერთობების თვალსაზრისით, დაწყებული ადრეული შუა საუკუნეებიდან, რამდენიმე ჭირს რიგი სპეციფიკური მიზეზების გამო, თვალი გავადევნოთ საქართველოს საკუთრივ ებრაული ელემენტის კავშირ-დამოკიდებულებას თავის ისტორიული სამშობლოსადმი, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ისტორიული ფაქტის მიკვლევა ამ ასპექტით და სათანადო დასკვნის გაკეთება შესაძლებლად მიგვაჩნია და ამის განხორციელებას ჩვენს შრომაში К ист. евреев Кавказа შევეცდებით.

02 არაბთა დაპყრობებით (ე.წ. ღაზავათის ომები) იწყება მუსულმანური სამყაროს კონტაქტების დამყარება ქრისტიანობასთან. ეს კონტაქტები საუკუნეთა მანძილზე (კერძოდ 636-1099 წლებში) მრავალასპექტოვანი იყო და არა ერთხელ იღებდნენ არაბების მხრიდან უარყოფითი ჰუმანიზმის სახეს.

მუსულმანური დომინაციის ფარგლებში მოქცეული წმ. მიწის გასათავისუფლებლად და არაერთი ინტერესანტული ფაქტორის გავლენით 1099-1291 წლებში პალესტინა ევროპული ჯვაროსნების საბრძოლო არენასა და შედეგად ლათინთა სამეფოს წარმოადგენს.

ეგვიპტელი მამლუქების ისლამიზირებული სამხედრო კასტების ბატონობამ პალესტინა 1291-1517 წლებში მოიცვა. აღსანიშნავია, ახლო აღმოსავლეთის მამლუქების სამეფო დინასტიებში და საერთოდ კავკასიურ-ჩერქეზული ელემენტის შემოჭრის ყველასათვის ცნობილი ფაქტი. მუსულმანი მამლუქების პერიოდშიც აქვს ადგილი ანტიქრისტიანული ტენდენციის გაძლიერებას. ისინი ვითარცა დამპყრობელი მუსულმანები თავს ყოველივე ქრისტიანულისა თუ ებრაულის კანონიერ პატრონ-მფლობელად თვლიდნენ.

თურქეთის გაბატონებით (1517-1917), თითქმის ყველა ისტორიული საპატრიარქო (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქის, იერუშალაიმის) თურქების ჰეგემონიის ქვეშ მოექცა, რასაც თავისებური პოლიტიკურ-რელიგიური და იურიდიულ-სამართლებლივი წიაღსვლები ჰქონდა თურქების ბატონობის არეალში მოქცეული საქრისტიანოსათვის. საერთო დეცენტრალიზაციის პირობებში, განსაკუთრებული უფლებები და პრივილიგიები მოიპოვა ბერძნულმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ, თუმცა დროთა განმავლობაში, აღმოსავლელი ქრისტიანებიც იქნენ ცნობილნი დამოუკიდებელ სამონასტრო-საკრებულო ერთეულებად. მე-17 საუკუნის ბოლოდან, გარკვეულად, ლათინი კათოლიკები იწყებენ გაძლიერებას. სულთნის მიერ სხვადასხვა დროს გაცემული ფირმანები, მიზნად ისახავდნენ შიდაქრისტიანული განხეთქილებებისა და დავა-უთანხმოებების მოსპობას იერუშალაიმსა და საერთოდ პალესტინაში.

03 აღნიშნული პერიოდების შესახებ, საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა მეტნაკლებად ვრცელი და გარკვეული მნიშვნელობის მქონე პილიგრიმულ-მემუარული ხასიათის ლიტერატურა (დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია იხ. Dr.Titus Tolber, Topographie des Jerusalems, b.I, I853).

მრავალთა და მრავალთა შორის, მივუთითებთ ისეთ წყაროებზე, როგორიცაა წმ. ვილიბალდის ცხოვრება (728 წ.), მოგზაურობანი, დღიურები და აღწერილობები იოჰან ვირცბურგის (1130), ევგეზიპის (1140) ვილბრან ოლდენბორგელის (1212), პერდიკასი (1250), ბრიკარდის (1280), მარინო ხანუტოს (1310) სიმონე ლიგოლის (1384), ელია დე ფერარეს (1438), რობერტო დე სან სავერიოს (1458) და სხვები.

04 ბიზანტია — საქართველოს რელიგიური ურთიერთობების ფონზე, რაც ჩვ. წ.-ის მე-4 საუკუნიდან გამოიკვეთა და გახდა საცნაური, არაბთა ისლამურ-დამპყრობლური ომების საუკუნემდე (მე-7), მტკიცე, სტაბილური კავშირი არსებობდა საქართველოსა და სირია-პალესტინას შორის, უმაღლესი ორთოდოქსალური სირიულ-ბერძნული მღვდელთმთავრობა გაბატონებულ ელემენტს წარმოადგენდა საქართველოში და ამდენად არცაა საკვირველი, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა.

475-488 წლებშიც კი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგაც, ანტიოქიის პატრიარქის უმაღლესი მღვდელთმთავრობა აღიარებული იყო საქართველოში.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, განაპირობებდა მჭიდრო ეკლესიურ-რელიგიურ კავშირს ორ საეკლესიო ერთეულს შორის, რაც ვრცელი ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ქართული საეკლესიო-სასულიერო ცენტრების შენებადაარსებაში გამოიხატა. ამავე მიზანს ემსახურებოდა 13 ასურელი მამის მოსვლა საქართველოში, ბერძნული ორთოდოქსული ღვთისმეტყველების გავრცელებისა და დანერგვის მიზნით.

334 წელს, წმ. ხარიტონმა, ფარანში, იერუშალაიმთან დაარსა პირველი ლავრა, შემდგომში კიდევ 2 ლავრა იერიხოსა და ხოხაში. არ უნდა იყოს გამორიცხული ქართული საეკლესიო-სამშენებლო ელემენტის მონაწილეობა მე-ე საუკუნის ისეთი ეკლესია-ლავრების შენებაში, როგორიცაა წმ. სიონის ეკლესია (340 წ.), აწარმოეს გათხრები 1898-1899 წლებში გერმანელებმა.), ელეონას მონასტერი (გამოვლენილია 1918 წელს, დომინაკანელების მიერ წარმოებული გათხრების შედეგად), ე.წ. აღზევების ტაძარი (378 წ.), 1960 წელს, აწარმოეს მის მიდამოებში გათხრები ფრანცისკანელებმა ვ. კორბოს ხელმძღვანელობით. გეთსიმანიის ტაძარი (385 წ.) გათხარეს ფრანცისკანელმა მამებმა არქიტექტორ ბერლუცცისა და მამა ორფელის ხელმძღვანელობით.

უცხოეთში, საკუთრივ ქართული საბერ-აეკლესიო მოღვაწეობის დაწყების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება იყო, სიმონ სტილიტის (მეხვეტის, 395-459 წწ.) მიერ ალეპოდან 40 ვერსის მოშორებით, სიმ’ანის მთაზე ცნობილი ტაძრის დაარსება. მას მიბაძეს სხვებმაც, მათ შორის უმცროსმა სიმონ სტილიტმა (521-596 წწ.), რომელმაც ანტიოქიის მახლობლად ჯებელ სიმ’ან-ის მთაზე ააშენა მონასტერი.

473 წელს, წმ. ექვთიმემ დაარსა ცნობილი ლავრა კედრონის ველში. (სავარაუდოა, რომ მას განეკუთვნება 460 წელს დაწესებული მოსახსენებელი 15 ივნისისა. თუესა ივნისა ი ე მეტობას დაბასა, ევდოკია დედოფლისა შეცნებულსა, სტეფანე წმიდას, დადგმაი წმიდისა სტეფანესი (=ieruS. ჩრდილოეთით მდებარე ეკლესია) (იხ. Patrol.Orientalls,t.XXXYI,fasc.2#I68,Le codex armenien,Brepols,I97I,p.I99) ექვთიმეს მოწაფემ, საბამ, იეუდას უდაბნოში აღაშენა რამდენიმე ლავრა. წმ. გერასიმემ 475 წელს, იერიხონთან.

ქალაქებსა და შემოგარენებში აშენებდნენ ე.წ. კოინობიონებს (საერთო საცხოვრებლების ტიპის მონასტრებს). ერთ-ერთი ასეთი მონასტერი დაუარსებიათ 330 წელს, წმ. ილარიონს (ანტონიუსის მოწაფეს) და ეპინაფეს ბეთ-გუვრინის მახლობლად, რომაელი დედა-შვილის მელანი-(ა)-ების ინიციატივით იერუშალაიმსა და ზეთის ხილის მთაზე ქალთა მონასტრები დაუარსებიათ. 387 წელს წმ. პაულამ ქალთა სამი მონასტერი დაარსა ბეთ-ლეხემში.

მე-5 საუკუნეში, იუდვას უდაბნოს არა ერთი გამოქვაბული იქცა ქრისტიან ასკეტთა თავშესაფარი. წმ. თეოდოსიოსმა, ბეთ-ლეხემიდან ექვსი მილის დაშორებით, თავი მოუყარა ბერძენ, ქართველ, სომეხ, სირიელ ბერებს. ბეთ-ლეხემიდანვე ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2-იოდე კმ.-ის დაშორებით, ბირ-ლ-კუტში ვირჯილიო კორბოს გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა მე-6 საუკუნის ქართული მონასტერი.

იუსტინიანეს პერიოდში, 543 წელს, გაიხსნა წმ. მარიამის სახ. ახალი (ნეა) ეკლესია. ჰარ-ჰაზე-თიმის (ზეთის ხილის მთა) დაქანებაში (ე. წ. დომიმუს ფლევიტ); 1955 წელს, პატარა ეკლესიის ნაშთები იქნა გათხრილი, რომელიც მე-7 საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. რიგმა მომდევნო არქეოლოგიურმა გათხრებმა, არა ერთი ძვ. საეკლესიო-სამონასტრო ნაგებობის თუ შენობის ნანგრევები გამოავლინეს, მარმარილოთი ან მოზაიკით მოპირკეთებული იატაკებით და სხვ.

მონერე დე ვილარით, ქართველებს ადრევე უნდა დაეწყოთ სამონასტრო მშენებლობა ეგვიპტის უდაბნოში.

მე-6 საუკუნეში, მეფე ფარსმან მე-6-ის დროს (542-557), საქართველოს ეწვივნენ იგუმენი იოანე თავის დიაკონითა და 12 მოწაფით. იგუმენი იოანე მცხეთის მახლობლად, ზადენის მთაზე იდებს ბინას, წარმართული ტაძრის ნანგრევებზე. მისმა ექვსმა მოწაფემ ქართლს მიაშურა. ერთ-ერთ ბერს წმ. აბოს, მიმოწერაც ჰქონია წმ. სიმონ მესვეტეს-თან (უმცროსთან). საფიქრალია, რომ ეს მიმოსვლა და ურთიერთობები კონსტანტინოპოლ-ანტიოქიის პოლიტიკურ-საეკლესიო წრეების სრული მოწონებითა და თანხმობით ხორციელდებოდა. (იხ. ცაგარელი გვ.29).

ყოველივე ამან განაპირობა პრობერძნული-ორთოდოქსალური მიმართულების გაძლიერება საქართველოში, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან პოლემიკის გამწვავება და დვინის საეკლესიო კრების (596) შემდეგ სომხური ეკლესიის გამოყოფა. საუკუნეების განმავლობაში, ხანგრძლივი და სტაბილური იყო ქართული საეკლესიო ელემენტის არსებობა ახლო აღმოსავლეთის ფართო ქრისტიანულ არეალში; გვიანი შუა საუკუნეებიდან იწყება საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო დაქვეითება, რასაც უეჭველია თავის გავლენა უნდა მოეხდინა, საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სასულიერო-სამონასტრო ცენტრებზე. მ. თამარატით: დღესაც (1900-იანი წწ.) მოღვაწეობენ ქართველი ბერები პალესტინის მონასტრებში, თუმც მათ შესახებ ცოტა ცნობები მოგვეპოვება, დაწვრილებით რომ ვიმსჯელოთ; ... მათ შეხვდებით კვიპროსზე, ბოსნიის მთაზე, კონსტანტინოპოლსა და თესალონიკის შემოგარენში.

05. თავისთავადი მნიშვნელობა აქვს ძველსა და მდიდარ ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში თანმიმდევრულად და კოლორიტული ადეკვატობით ასახა საქართველოში ებრაელთა ყოფა, მათი რელიგიური ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, გარდა ამისა სათანადო ყურადღება მიაქცია საქართველო-პალესტინის ურთიერთობებს, ქართველების მოღვაწეობას წმ. მიწაზე, მათ დამოკიდებულებას თავის თანატომელებთან, საქართველოში. ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამ თავში, საკითხია კომპლექსური განხილვის თვალსაზრისით, მოვიტანთ ზოგიერთ საინტერესო პასაჟს ძვ. და შუა საუკუნეების (ადრეული) ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან. (შდრ. J.Karst, Litterature georgienne chrestienne, Parigi, I934).

(გაგრძელება იქნება)

ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით

შალომ დავიდი



ადამიანი თავის გარემომცველ სამყაროში ეძებს სიხარულსა და სიამოვნებას. თორის თვალსაზრისით, სიამოვნება პოზიტიურია, ის აუცილებელია ადამიანისათვის და მას ემსახურება სტიმულად – ცხოვრებაში აქტიური ქმედებისათვის. მაგრამ სიხარული და სიამოვნება საჭიროებენ მართვას და უთუოდ დაემორჩილონ კანონს, იმ შეზღუდვებს და პირობებს, თორაში რომ არის მითითებული. ჩვენ შეგვქმნა ღმერთმა, გვიწილბედა სიცოცხლე და მან იცის, როგორი შეზღუდვებია აუცილებელი სრული ბედნიერების მისაღწევად – ფიზიკური, ზნეობრივი და სულიერი ბედნიერებისათვის. სექსი წარმოადგენს დადებით საწყისს, რამდენადაც ის გვევლინება იმპულსად, რომელიც აუცილებელია კაცობრიობის არსებობის გაგრძელებისა და კეთილდღეობისათვის. ის – კაცობრიობის მოდგმის უშრეტი წყაროა, ადამიანს შესაძლებლობას რომ აძლევს გაავრცელოს თავისი სიცოცხლე სამარადჟამოდ. გრძნობათა სფეროს მეშვეობით მამაკაცი და ქალი, ქმნადობის საქმეში, ღმერთის თანამონაწილენი ხდებიან. სწრაფვის, სურვილის, იმპულსის გარეშე კაცობრიობას არსებობა არ ძალუძს. მიდრაში ლაპარაკობს ადამიანის ფიზიკურ მისწრაფებათა თაობაზე: „სწრაფვა რომ არ არსებობდეს კაცი არ ააშენებდა სახლს, არ შეირთავდა ცოლს, არ წარმოშობდა შვილებს და არავითარი მოღვაწეობით არ იქნებოდა დაკავებული“.

მაგრამ გრძნობიერება ხდება ბიწიერი, თუ მამაკაცი და ქალი ინსტინქტის ძალაუფლებაში სუფევენ და არ იცავენ თორის კანონებს, ადამიანს თვითკონტროლისკენ რომ მოუწოდებს.

ძველებრაულ სიტყვებს – „მამაკაცს (იშ) და ქალს (იშა) აქვთ ისეთი სტრუქტურა, რომ თუ „მამაკაციდან“ (იშ) ამოვიღებთ ასო-ბგერა (იუდს), ხოლო ქალიდან (ჰეს), რომლებიც შეადგენენ ღმერთის სახელს, მაშინ ორივე სიტყვაში რჩება ასო-ბგერები (ალეფ) და (შინ), ე.ი. სიტყვა „ეშ“ – ცეცხლი. ეს როდი წარმოადგენს უბრალო დამთხვევას. სექსი და ცეცხლი ერთმანეთის მსგავსი და სადარია. ცეცხლი – ცხოვრებისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორთაგანია. მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარება დაკავშირებულია ცეცხლთან (ელექტრობა, ორთქლი, ენერგია, სათბობი, მზე). ცეცხლი ეს შემოქმედებითი, კონსტრუქციული ძალაა, მაგრამ თუ მას მივცემთ დამორჩილების საზღვრებიდან გასვლის შესაძლებლობას, ის ყოველივეს შთანთქავს და მოაოხრებს. იგივე ითქმის სექსის შესახებ. ოდეს ღმერთი სუფევს მამაკაცსა და ქალს შორის, რაჟამს ხელშეუვალი რჩება „იუიდი“ და „ჰე“, მაშასადამე, ღვთაებრივი კანონები მართავენ მამაკაცსა და ქალს, მაშინ სექსი – დადებითია, კონსტრუქციული ძალაა. ღმერთის გარეშე მამაკაცი და ქალი გათიშულნი არიან და ეშვებიან ცხოველთა დონემდე. მათი ურთიერთობა, მსგავსად ცეცხლისა, გარდიქცევა წყაროდ იავარქმნისა. ამად ახალგაზრდობა უნდა ერიდებოდეს ცეცხლთან თამაშს, – იგი შეიძლება გავიდეს დამორჩილების საზღვრებიდან, წარსულის ყველაზე საუკეთესო ურთიერთობანი და მიგვიყვანოს სავალალო შედეგებამდე.

სიყვარულის ჭეშმარიტი საფუძვლები

რაში მდგომარეობს არსი სიყვარულისა? რაშია მისი მამოძრავებელი ძალა? არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც არ ფლობს მოთხოვნილებას, რომ ვისმეს რაიმე უწილბედოს. სიყვარული – ასეთი მოთხოვნილების შედეგია. რამდენადაც მეტს უწილბედებ სხვას, მით უფრო ძლიერდება შენი სიყვარული.

სიყვარული ქორწინებაშია – ეს ის წინაპირობაა, ურომლისოდაც მამაკაცისა და ქალის ცხოვრება ცალცალკე არასრულფასოვანია. მამაკაცის ცხოვრება ქალის გარეშე უაზრობაა, რომელსაც უძღვნის თავის სიყვარულს, მასთან წარმოშობს ბავშვებს და ზრუნავს მათზე. ასევე ქალის ცხოვრებაც არს ნაკლოვანი უმამაკაცოდ, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, რომ ჰქონდეს სახლი, გაზარდოს ბავშვები და იგრძნოს საკუთარი თავის აუცილებლობა ცხოვრებაში. თითოეული მათგანი კმაყოფილია მეორისა იმ შესაძლებლობისათვის, რომ სავსებით გამოთქვას საკუთარი თავი, – სწორედ ამაშია საფუძველი სიყვარულისა. სიყვარული ოჯახში, მოგვაგონებს ღმერთის უანგარო სიყვარულს ადამიანისადმი. და რამდენადაც ადამიანს ძალუძს მეტი მისცეს სხვას, მით უფრო ემსგავსება იგი ღმერთს.

ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობა – გაახანგრძლივოს კაცობრიობისა და საკუთარი მოდგმის არსებობა. ამისათვის ბავშვების დაბადება და გაზრდა, როდია მხოლოდ ბიოლოგიური ფუნქცია. ადამიანი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეპყროს ამას, როგორც შემოქმედებით პროროცესს, რამეთუ ბავშვისგან მოელიან მშობელთა იმედების და შემოქმედის სასოების განხორციელებას, რომელმაც ადამიანი გარდააქცია თანამონაწილედ ქმნილებათა დიდ დრამაში.

ჩვენ ნაბრძანები გვაქვს არა მარტო შვილების გაჩენა, არამედ შექმნა ადამიანებისა, რომელნიც ყოველივე საუკეთესოს გამოსახულებანი იქნებიან ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ოჯახში და ებრაელ ხალხში, თითოეული ბავშვი – ეს განსაკუთრებული, უნიკალური პიროვნებაა, რომელიც ცხოვრებაში ფეხს შედგამს სრულიად ახლებურად და მასში დასტოვებს რაღაც თავისებურებას. მაშასადამე, ოჯახის მიზანი უფრო დიდი რამ არის, ვიდრე უბრალო შვილოსნობაა. შვილებმა უნდა გააგრძელონ ის, რაიც დაიწყეს მშობლებმა და დატოვეს დაუმთავრებელი, ან უკეთესი იქნება, როდესაც ისინი გააგრძელებენ წარსული თაობის დაწყებულ საქმეს და შეინარჩუნებენ იმას, რაც მათ მიერ არს შექმნილი.

ოჯახი საწინდარია მემკვიდრეობისა, ის უზრუნველყოფს ხალხის მომავალს. თითოეული თაობა წარმოადგენს რგოლს დაუსრულებელ ჯაჭვში და თავის თავში ვალდებულებას ატარებს, როგორც წარსულის მიმართ, ასევე მომავალი თაობებისადმი. ოჯახი – ეს სკოლაა ებრაული ცხოვრებისა. საკმაოდ რომ შევაფასოთ მისი მნიშვნელობა, აუცილებელია ვფლობდეთ ისტორიული პერსპექტივის გრძნობას და გვესმოდეს, რომ თითოეულ ჩვენგანს აკისრია დიდი პასუხისმგებლობა, როგორც თავისი ოჯახისა და თავისი ხალხის წევრს. ჩვენგან – არავინ არ შეიძლება იყოს ცალკეული, დაუკავშირებელი პიროვნება არავისთან ან არაფერთან.

და ამად, შვილების წარმოშობა უნდა იყოს მამაკაცისა და ქალის პასუხისმგებლობის შეგრძნებისა და მომწიფებული გადაწყვეტილების შედეგი. მათ უნდა აერთიანებდეთ ურთიერთსიყვარული, პატივისცემა და საერთო მისწრაფება – იცხოვრონ ღვთაებრივი კანონების პრინციპების საფუძველზე დაყრდნობით. ბავშვი უნდა დაიბადოს ოჯახში, რომელიც მას უწილბედებს არა მარტო მშობლიურ სიყვარულს, ზრუნვას და მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ შეძლებს მისი პიროვნების ფორმირებასაც. მშობლებმა საკუთარი თავი უნდა „გადასცენ“ ბავშვს უკვე მისი ცხოვრების ყველაზე ადრეულ წლებში, რამეთუ ამ პერიოდში ისინი გვევლინებიან იმ ადამიანებად, რომლებიც მას გარემოიცავენ. მაგრამ ეს ვერ განხორციელდება, თუ ისინი ვერ შეძლებენ ცხოვრებისეული მიზნის პოვნას, და ვერ გაიგებენ თვითდისციპლინის აუცილებლობას.

ქალი, როგორც პიროვნება

ქალი ოჯახის საფუძველია. მისი დიდი დანიშნულება ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორც ქალისა და დედისა შეცნობილი უნდა იყოს თითოეული ქალიშვილის მიერ, რომელიც საქორწინოდ ემზადება.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ქალი შექმნილია ღმერთის მიერ – მისი მსგავსებითა და სახიერებით. იგი გარემოსილია მისი მზრუნველობით და მას, ქალს, უნდა მოვეპყროთ როგორც საკუთარ თავს, – „გიყვარდეს შენი თვისტომი, ვით თავი შენი“. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის უმეტესობა ქალს უყურებს როგორც სექსის ობიექტს და არა როგორც პიროვნებას, რომელიც მოითხოვს პატივისცემას და გაგებას. ასეთი ახალგაზრდობისათვის ქალი – საშუალებაა, წუთიერი სიამოვნების მისაღწევად.

მაგრამ ებრაული მორალის თვალსაზრისით, ქალი – თანასწორუფლებიანი პარტნიორი და მეგობარია, რომლის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი. ქალი პიროვნებაა, მას აქვს უფლება და მოვალეობა არა ქმრის ახირების მიხედვით, არამედ თორის დადგენილებათა შესაბამისად.

„პლეიბოი“

შევეცდებით შევადაროთ ებრაული კონცეფცია, ქალის შესახებ, თანამედროვე იდეალს, როგორც ის წარმოდგენილია ჟურნალ „პლეიბოიში“.

ჟურნალი ასახავს ამერიკულ დამოკიდებულებას სექსისა და ქალის საკითხისადმი. ის მკითხველს სთავაზობს ცხოვრების ნორმებს, რომელსაც ადამიანი მიჰყავს „ფრიცუთამდე“ – გარყვნილებამდე, ებრაული კანონის დარღვევამდე, თავმდაბლობისა და თვითდისციპლინის საკითხებში. და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ძირითადი საშიშროება. არსებითად, „პლეიბოი“ ანტისექსუალურია, რამეთუ ის სექსში ხედავს მხოლოდ გასართობ თამაშს ახალგაზრდობისათვის. ის ანტია და მიანურია, რადგან მასში ქალი წარმოდგენილია, როგორც იაფ და არაფრისადმი დაუვალდებულებელ ობიექტად, რომელიც მამაკაცის კაპრიზებს ემორჩილება. „პლეიბოის“ მიხედვით, ქალი – სათამაშოა, რომელიც შეიძლება გადავდოთ, როდესაც მთავრდება დასვენების დრო. მსგავსი დამოკიდებულებანი ადამიანებს გარდაქმნიან რობოტებად, რომელზეც მოძრაობენ ინსტინქტებით, რომელთა ცხოვრება – თამაშია. ეს არა მარტო ადამიანური ღირსების უარყოფაა, არამედ მამაკაცისა და ქალის ნამდვილი ბუნების, ადამიანის თავისუფლების უგულებელყოფაც.

ინტიმური ცხოვრება, აღსავსე რომ არს ძალით და სილამაზით, მასზე დამოკიდებული არს მომავალი თაობის ბედი. ის, რომ გარდავაქციოთ თამაშად – ეს იქნებოდა ადამიანის ღვთაებრიობის, მისი ღირსების უარყოფა, ადამიანური პიროვნების გაბიწიერება. ქალს თუ გამოიყენებენ მხოლოდ სულმდაბალი სურვილების დაკმაყოფილებისათვის, – მას გარდააქცევენ როსკიპად; თუ ის საგნად გარდაიქცევა – იგი შეწყვეტს თავის ადამიანურობას.

ფრიად უცნაურია, როდესაც ზოგიერთი ქალიშვილი ივიწყებს საკუთარ ღირსებას და ამცირებს თავის თავს, ის ხდება „თამაშის“ პარტნიორი „პლეიბოის“ უკანასკნელი მოდის მიხედვით. ეს არ ნიშნავს, რომ თითოეული ქალიშვილი, რომელიც უგულებელყოფს ცნიუთის უმაღლეს პრინციპებს, შეგნებულად ხდება აღნიშნული თამაშის პარტნიორი. უმეტეს შემთხვევაში მას, ალბათ, არა აქვს წარმოდგენა ამ პრინციპების შესახებ, რამდენადაც მისი შეხედულებანი არსებული გარემოს ნაყოფია. მრავალი ქალიშვილი რისკს ეწევა და საშიშროების ქვეშ აყენებს თავის სიწმინდეს, რეპუტაციას და ღირსებას, ემორჩილება რა იმპულსური ახალგაზრდა ადამიანების დაჟინებულ და უპასუხისმგებლო მოთხოვნებს. მისი ცნებები ოჯახის, სახლის და მომავლის შესახებ სრულიად მოუმწიფებელია. ხშირად იგი ივიწყებს მას, როგორც კი წარმატებას მიაღწევს. იშვიათად ვხვდებით მამაკაცს, რომელიც ფლობს პასუხისმგებლობის გრძნობას და ღირსებას.

„პლეიბოი“ ამართლებს რა ჟურნალის ზნეობრივ ფილოსოფიას, ამბობს, რომ ცხოვრების მიზანი მდგომარეობს გართობასა და სიამოვნებაში. მისი აზრით, ზნეობრივი საფუძველი, პასუხისმგებლობის გრძნობა, – ყოველივე ეს „მოძველებული“ იდეალებია. სინამდვილეში ახალი მორალი, რომელსაც „პლეიბოი“ ქადაგებს, არ წარმოადგენს არავითარ ახალს. როგორი უახლესი იდეოლოგიური სამოსითაც არ უნდა მოგვევლინოს ეს ჟურნალი, მისი მორალი არ განსხვავდება ძველი რომის ზნედაცემულობის და წარმართული ტაძრის გარყვნილებისგან, რომელთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ ბიბლიური პერიოდის წინასწარმეტყველნი. სექსი გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ასეთი შეხდულება ქალისა და სექსის შესახებ ეწინააღმდეგება თორის პოზიციას. თორა, სექსში ხედავს მუდმივი საქმიანი კავშირის sar საფუძველს, რაშიც ცოლსა და ქმარს გააჩნიათ უფლება და მოვალეობა.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი ბეით ქნესეთის ყოველდღიურობა

გვესაუბრება თბილისის ბეით ქნესეთის გაბაი ფირუზ კოჩობაშვილი

— ბატონო ფირუზ, რა ეტაპზეა სინაგოგაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები?

— სარემონტო სამუშაოები მეორე სართულზე მთლიანად მორჩა გარკვეული ხარვეზები არის, რომელნიც პროცესის დასრულებამდე გამოსწორდება. ალბათ 1-15 აგვისტოსთვის რემონტები დასრულდება და როშ-ჰაშანას დღესასწაულს ახალგარემონტებულ სალოცავში ვიზეიმებთ.

— რა პრობლემები აქვს თბილისის ბეით ქნესეთს?

— ხალხი დაწყნარებულია და ყველას სურვილი აქვს შეძლებისდაგვარად მხარში დაგვიდგნენ. მე თუ არ ვარ მმართველობის ორი წევრი ყოველთვის აქ არის და ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ პასუხის გაცემა. ათი თვის განმავლობაში დახმარება არავისგან მიგვიღია, მხოლოდ სამი პიროვნებაა, რომელთაც შემოწირულობები შემოაქვთ და მათ ძალიან დიდი მადლობას ვუხდი. კეზერაშვილების ოჯახმა მაცის შეძენისას კრიტიკული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ნისან უსუფოვმა სახელფასო დავალიანებები შეძლებისდაგვარად შემოწირულობით გამოგვისწორა. ასევე ილია მოსიაშვილის, რომელმაც ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულ სიტუაციაში გამოგვისწორა. შარშან ოქტომბერში ისეთი შემოსავალი იყო, რომ იანვრის ბოლომდე გვეყო, ეს მაშინ როდესაც 5800 მხოლოდ ხელფასებში იხარჯება. შემდეგ გაგვიჭირდა. ახლა ტურისტების ნაკადი ძალიან დიდია, რაც შემოსავალს პირდაპირპროპორციულად ზრდის. ჩვენ აღრიცხვას ვატარებთ, თუ რომელი ქვეყნიდან რამდენი კაცი შემოდის. ცოტა ხნის წინათ ახალი ზელანდიიდან იყვნენ ჩამოსულები, ეს მართლა გასაკვირია, როდესაც სინაგოგა და სეფერ თორები ნახეს გაოცდნენ. ევროპის ყველა ქვეყნიდან ჩამოდიან. საგრძნობლად იმატა ტურისტების ნაკადმა ყოველდღე 100 კაცამდე მოდის. მინდა გარეთ დავდგა გამჭვირვალე ყუთი, სადაც ხალხი შემოწირულობის გაკეთებას შეძლებს. თუმცა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სტუდენტების ნაკადმა მოიმატა, თუმცა შემოწირულობის რაოდენობა შემცირებულია. ეს ყველაფერი ფიქსირდება. არიან ადამიანები, რომელნიც სინაგოგის დასახმარებლად სახსრებს არ დაიშურებენ. ახლა დამპალოს ღობის რესტავრაციაც მიმდინარეობს და საქართველოში დარჩენილმა ყოველმა ებრაელმა ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს შეძლებისდაგვარად ამ საქმეში ჩვენც გავუწევთ დახმარებას, რადგან ეს არა მარტო სინაგოგის, არამედ მთელი ებრაული საზოგადოების საქმეა. საქართველოში დაახლოებით 700 ებრაული ოჯახი დარჩა, ძალაინ ცოტანი ვართ. ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და გაჭირვებაში მხარში ამოვუდგეთ. ახლა ახალციხის სინაგოგის შეკეთებაც დაიწყო, რომელიც მთელ საქართველოში ყველაზე ძველი სინაგოგაა. როდესაც გავიგებ თუ ვინ არის მისი რესტავრაციის დამფინანსებელი, აუცილებლად ვთხოვ, რომ საქართველოში ყველაზე ძნელი აწყურის სასაფლაოს შეკეთებაც დააფინანსოს.

როდესაც მძიმე მდგომარეობა იყო ეს ხალხი გვერდით დაგვიდგა. მე თუ ვიღაცას რაღაცას ვთხოვ ეს იქნება ლოცვისთვის და ჯამაათისთვის. ღმერთმა გაუმარჯოს დავით იაკობაშვილს, რომელმაც ამხელა თანხა გაიღო, სალოცავის გასარემონტებლად, ასევე გარემონტდა ორთაჭალის სასაფლაო. დიდი სამუშაოები ტარდება. ესეც ერთგვარი დახმარებაა. სალოცავი უკვე ასი წლის არის და ყველაფერი მოძველებული იყო. ჩვენ სტილს ყველანაირად ვინარჩუნებთ, უბრალოდ ხარისხს ვაუმჯობესებთ. ანჯამების სტილიც კი შევინარჩუნეთ. ჩვენ ამის სახსრები ალბათ არასოდეს გვექნებოდა. ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი იყო მაცის დროულად შემოტანა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დაგვაგვიანდა და მხოლოდ ფესახის შემოსვლამდე ორი დღით ადრე მოხდა რეალიზაცია. მთელი პროდუქტი, რომ ყოფილიყო რეალიზებული ფინანსური მდგომარეობა გამოგვისწორდებოდა. რამდენი დღის წინათ ისრაელიდან საქართველოში რაბინების დელეგაცია იმყოფებოდა. სალოცავთან დაკავშირებით მათ სხვა ინფორმაცია ჰქონდათ, თითქოს აქ უთანხმოება და ცუდი სიტუაცია იყო, მაგრამ ორი დღე აქ ილოცეს და სულ სხვა სურათი დახვდათ.

ჩვენს სალოცავში ბევრი ადამიანი მოღვაწეობს, კარგი იქნება მათ შესახებ თქვენს გაზეთში დაიწეროს და ხალხმა მათ შესახებ გაიგოს. მაგალითად დავით აზიზოვი, რომელიც ყველაფერს პირნათლად ასრულებს. შარშან სალოცავში რახამიმ მორდოხაშვილი მოვიდა და მაშინვე ძველი თორების ლად ასრულებს. შარშან სალოცავში რახამიმ მორდოხაშვილი მოვიდა და მაშინვე ძველი თორების გადარჩევა დაიწყო, ორი კვირა იგი და დათო ამ საქმეს აკეთებდნენ. თურმე თორების გაფუჭებაზე დიდი ცოდვა არაფერია. მათი ნაწილი დავმარხეთ და ნაწილი რესტავრაციისთვის მოამზადეს. ბესო ხახიაშვილი, რომელიც ახალგაზრდა ბიჭია, მაგრამ უკვე თავადაც შეუძლია ლოცვების კითხვა. მიხო ხანანაშვილი, რომელიც ჯამაათს, მთელ საქართველოში ქაშერი ხორცით ამადლიანებს. სანამ ლოცვაში ასეთი ადამიანები არსებობენ სულიერი გასაჭირი არ იქნება.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი საქართველოში მცხოვრებ ყველა ებრაელს, რათა გამოიჩინონ გულისხმიერება, გვერდში დაუდგნენ თბილისის დიდ სინაგოგას და ხმა მიაწვდინონ თავის ახლობლებს საზღვარგარეთ, რათა მათაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა, როგორც ჯამაათის კეთილდღეობისათვის, სინაგოგის შესანარჩუნებლად და ჩვენი წინაპრების განსასვენებლის ადგილის რეაბილიტაციაში.

— დიდი მადლობა საუბრისთვის.

ესაუბრა ნინო შავაძე

ძლიერდება ქართველ ებრაელ მეცნიერთა და ხელოვანთა ჩართულობა საქართველოს სამეცნიერო-შემოქმედებით ცხოვრებაში

18-20 მაისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოლოგიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ისრაელი მეცნიერები, ჩვენი თემის სასახელო წარმომადგენლები: იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი კოტე (კონსტანტინე) ლერნერი და არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების საკვლევი ინსტიტუტის ხელმძღვანელი რეუვენ ენოხი. ეს უკანასკნელი სიტყვით გამოვიდა კონფერენციის საზეიმო გახსნაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვითონაც და პროფესორი ლერნერიც ძალ-ღონეს არ იშურებენ ისრაელისა და საქართველოს უნივერსიტეტთა შორის არსებული კავშირის გაძლიერებისა და ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლისათვის.

კონფერენციაზე ორივე მეცნიერის მიერ წარდგენილმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

რეუვენ ენოხმა წაიკითხა მოხსენება ქართველ ებრაელთა ლექსიკის კომპონენტების თაობაზე და გამოყო ამ ლექსიკის შემადგენელი ნაწილები: საერთო ქართული ლექსიკა, დიალექტური ლექსიკა, ივრითიდან (და არამეულიდან) შემოსული სიტყვები, ძველი ქართულიდან შენარჩუნებული ლექსიკური ერთეულები და სხვა. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ხაზი გაესვა ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლის წარუვალ მნიშვნელობას ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის კვლევისათვის.

კოტე ლერნერის მოხსენების თემა იყო ახლოაღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა ქართულში. მან აღნიშნა, რომ ძველი აღმოსავლეთის ენებიდან: ასურულიდან, არამეულიდან, ებრაულიდან შემოსული სიტყვები ღრმად არის ჩაქსოვილი ქართული ენის წიაღში და ნასესხობად არც კი აღიქმება. ერთ-ერთმა, მაგალითად მომხსენებელმა წარმოადგინა ქართული სიტყვა „ეზო“, რომელიც ებრაული „ეზორ“-იდან უნდა მოდიოდეს.

ბათუმის ლექსიკოლოგიური სიმპოზიუმის გამართვა უკვე ტრადიციად მკვიდრდება და იმედია, ისრაელი მეცნიერები კვლავაც იქნებიან ამგვარ შეკრებათა აქტიური მონაწილენი.

აპრილ-მაისში ჩატარდა V საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“. იგი დაიწყო 18 თებერვალს თბილისში, გამოიარა სტეფანწმინდა, მარტვილი, ქუთაისი და 24 მაისს დაიხურა ბათუმში იოსებ (სოსო) ბარდანაშვილის საავტორო კონცერტით. ბათუმი იოსებ ბარდანაშვილის მშობლიური ქალაქია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მრავალწლიანი განშორების შემდეგ განსაკუთრებული მღელვარებით ჩავიდა შავიზღვისპირეთის ამ მშვენიერ სავანეში, თუმცა, მანამდე ქუთაისში გამართა კონცერტი.

ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ფესტივალის დახურვისას შესრულდა იოსებ ბარდანაშვილის,,ფსალმუნი123“, ,,პერპეტუმმობილე“, ,,მეტამორფოზა“, ,,ფანტაზია,“ ,,წერტილები“, ,,სიმღერა საქართველოზე,“ ,,ფსალმუნი ,,სანთელი“, ალელუია“, ,,წყვილი,“ ,,ღვთის შვილები“. ეს იყო ნაწარმოებები შერეული გუნდისათვის“ ოთხი ხელისათვის, კლარნეტის, ფორტეპიანოსა და სიმებიანი სექტეტისათვის. ასე რომ ი. ბარდანაშვილის რეპერტუარი არა მხოლოდ თემატური, ჟანრული მრავალფეროვნებითაც ხასიათდებოდა.

იოსებ ბარდანაშვილი ბათუმის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
მთავარი რაბინის მ.შ.
აბიმელეხ როზენბლატი

ბილყამი

რა მისია ჰქონდა დაკისრებული ბილყამს? რამბამი თვლის, რომ ამ მისიის დანიშნულება ისეთივე იყო, როგორიც ყესავის ანგელოზისა იაყაკოვთან მისი ბრძოლისას. გამჩენს სურდა, რომ ისრაელს არაებრაელი წინასწარმეტყველის ბაგეთაგან მიეღო კურთხევა. იბნ ყეზრა კი თვლის, რომ არავითარი ძალა არ ჰქონდა არც მის წყევლას და არც მის კურთხევას. ბილყამი უბრალოდ ვარსკვლავთმრიცხველი იყო და იცოდა ადამიანთა „მაზალი“ (ბედ-იღბალი). როცა ხედავდა, რომ რომელიმე ადამიანს ცუდი „მაზალი“ ჰქონდა, სწორედ მას სწყევლიდა. იბნ ყეზრა თვლიდა, რომ ბილამი მატყუარა იყო და მას არ შეეძლო ებრაელების დაწყევლა. ამის გაკეთება ბილყამს იმიტომაც არ შეეძლო, რომ ებრაელებს ჰქონდათ „მაზალ ტოვ“-ი (კარგი ბედ-იღბალი), და საერთოდაც, ჩვენ ყველანი ბედ-იღბალზე მაღლა ვდგავართ. მაგრამ გამჩენმა იცოდა, რომ ებრაელები შესცოდავდნენ კერპის ბაალ პეორის მეშვეობით და არ სურდა, რომ სხვა ხალხებს ამის მიზეზად ბილყამის წყევლა დაესახელებინათ, რომ მისი წყევლის შედეგად ჩნდება ჭირის ეპიდემია (მაგეფა). სწორედ ამიტომ არ სურდა გამჩენს, რომ ბილყამს დაეწყევლა ებრაელები. აბარბანელი თვლიდა, რომ თუ არაებრაელი წინასწარმეტყველი აკურთხებდა, დალოცავდა ებრაელებს, ეს სხვა ხალხებს დააშინებდა და ამით უფრო გაადვილდებოდა მათი დაპყრობა. მაგრამ ბალაკს ეგონა, რომ ბილამი ჯადოქარი იყო და გასამრჯელოს მიღების შემდეგ შეძლებდა ებრაელთა დაწყევლას. ბილყამს კი ებრაელთა დაწყევლა ბალაკზე მეტად სურდა, რადგანაც სძულდა ისინი.

რატომ დაიწყო ლაპარაკი სახედარმა? რამბამის აზრით, ეს წინასწარმეტყველური ხილვა იყო, სფორნო კი თვლის, რომ ეს მოხდა ბილყამის „თეშუბაზე“ მოსაყვანად. რაბეინუ ბახეი სთვლის, რომ ეს საჭირო იყო ბილყამის დასამცირებლად, რათა ეჩვენებინათ, რომ სახედარიც კი არ უჯერებს მას.

რატომ არ გაუშვა გამჩენმა ბილყამი თავიდან ებრაელთა დასაწყევლად? შემდეგ რატომღა დართო ნება? რამბამის მიხედვით პირველად მას წასვლა კი არ აუკრძალა გამჩენმა, არამედ – დაწყევლა. ამასთან, არის ასეთი წესი, როცა ადამიანს სურს რაიმე გზით სიარული, მას კი არ უშლიან, პირიქით, ამ გზაზე სიარულში ეხმარებიან. რაშის მიხედვით, როცა გამჩენი ბილამს ეუბნება „თუ შენს დასაძახებლად, „ანუ შენს საკეთილდღეოდ“, მოვიდა ეს ხალხი, წადი“, ბილყამი უნდა მიმხვდარიყო, რომ გამჩენს არ სურდა მისი წასვლა. ამისათვის გაგზავნეს ანგელოზი ხმლით, რომელიც გზაზე გადაეღობა მას. მაგრამ ბილყამმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა. სწორედ ამის გამო გაუგზავნა მას გამჩენმა რისხვა - „აფ ჰაშემ“ (გამჩენის რისხვა). აქედან კი ბრძენებმა (კურთხეულია მათი ხსოვნა) დაასკვნეს, რომ „ადამიანი იმ გზით დაყავთ, რომელზედაც მას სურს სიარული“. სწორედ ამიტომ გამჩენმა თავიდან შეაჩერა ბილყამი - „არ წახვიდე“, ხოლო შემდეგ უთხრა - „წადი“ და მხოლოდ ამის შემდეგ „...განრისხდა გამჩენი“. აქედან უნდა მივხვდეთ, რომ გამჩენის თანხმობა ნიშნავს თანხმობას იმაზე, რომ ბილყამს „არჩევანის თავისუფლება“ (ბხირათო ნაფშით) აქვს.

ბილყამი ოთხჯერ აკურთხებს ებრაელებს:

„აი (ჰინე), ხალხი, მარტოობაში ცხოვრობს, და ხალხთა შორის არ ითვლება“, – იბნ ყეზრას მიხედვით, ეს ხალხი ახლაც და მუდმივად მარტოობაში იქნება.ყველა სხვა ხალხი შეერევა ერთმანეთს, შეიცვლიან კანონებს, და თუ ებრაელი ხალხი იქნება ერთადერთი, ვინც თორის კანონებს უერთგულებს, მაშინ ვერავინ აჯობებს მათ. რამბამი და აბარბანელი ხაზს უსვამენ, რომ ერები იცვლიან რელიგიებს და ერთადერთი ერი, რომლისთვისაც ერთია ეროვნება და რელიგია – ებრაელები არიან. სიტყვაში „ჰინე“ შედის ორი ასო (ებრაული დამწერლობის მიხედვით) – „ჰეი“ და „ნუნი“, რომლებიც არ უწყვილდებიან არც ერთ ასოს (ჰეის გემატრია - რიცხობრივი მნიშვნელობა - არის 5. თუ დავითვლით ცხრამდე, რიცხვი ხუთი არ უწყვილდება არც ერთ რიცხვს – მაგ. 1 უწყვილდება 9-ს, 2 – 8-ს და ა. შ. ასევეა „ნუნი“, რომლის გემატრია არის 50, ოთხმოცდაცხრამეტამდე დათვლისას ასევე ყველა რიცხვი წყვილდება, გარდა 50-ისა. მაგ. 1 და 99; 2 და 98 და ა. შ.).

მეორე კურთხევა არის დაპირება, რომ გამჩენი არ გადაუხვევს სიტყვიდან „მისცეს ისრაელის მიწა ებრაელებს“.

„რა მშვენიერია შენი კარვები, იაყაკოვ“ – („მა ტოვუ ოჰალეხა იაყაკოვ“). რამბამის მიხედვით, უდაბნოში კარვები ებრაელთა საცხოვრებელია. ბრძენთა (კურთხეულია მათი ხსოვნა) მიხედვით, კარვებში შესასვლელები ერთმანეთის პირდაპირ არაა განთავსებული, რათა ებრაელებმა ერთმანეთს არ უთვალთვალონ. არიზალის მიხედვით ეს თორის კარვებია და „ყემეკ დავარის“ მიხედვით ვსწავლობთ, რომ ეს არის საზოგადოებრივი და თორის ბრძენების შეკრებები.

მეოთხე კურთხევაში ბილყამი ახერხებს მოაბელებისათვის რჩევის მიცემას იმის შესახებ, თუ როგორ შეავიწროვონ ებრაელები. მასში ასევე ჩადებულია წინასწარმეტყველება მაშიახის შესახებ.

ისრაელის ამბები

თელ-ავივი-ბათუმი-თელ-ავივი

24 მაისს ბათუმის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელმაც 120 ისრაელელი ტურისტი ჩამოიყვანა. ეს იყო საზაფხულო სეზონის პირველი რეისი თელ-ავივიდან. საგულისხმოა, რომ ისრაელის მოქალაქეები საქართველოში ვიზის გარეშე შემოდიან, რადგან ხელისუფლებამ ცალმხრივად გააუქმა ვიზა.

საკურორტო სეზონისას ჩარტერული ფრენის თაობაზე ხელშეკრულება შარშან გაფორმდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას ძალისხმევით.

თელ-ავივისა და ბათუმს შორის ჩარტერული რეისები კვირაში ერთხელ ოქტომბრის ბოლომდე შესრულდება.

მსოფლიოს გავლენიანი ებრაელები

გაზეთმა „jeruzalem postma“-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ებრაელების სია. სიის სათავეში მოექცა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ – მან მოახერხა ქნესეთის 120 დეპუტატიდან 94 თავის კოალიციაში მოექცია და ფაქტიურად ოპოზიცია არ ჰყავს.

მეორე ადგილზეა ჯეკ ლუ, რომელმაც ახლახან თეთრი სახლის კანცელარიის მეთაურის პოსტი დაიკავა.

მეხუთე ადგილზეა „Facebook“-ის შემქმნელი მარკ ცუკერბერგი (ამას წინათ ცუკერბერგი არაებრაელ ქალზე დაქორწინდა და რელიგიური პირნი ქორწინების გააუქმებას ურჩევენ).

ამ 50-კაციან სიაში ისრაელიდან შევიდნენ: პრეზიდენტი შიმონ პერესი, გენშტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბენი განელი, „კადიმას“ ლიდერი შაულ მოფაზი, ოპოზიციის ახალი ლიდერი, პარტია „ავოდა“-ს თავმჯდომარე შელი იახიმოვიჩი.

ყველაზე გავლენიან ებრაელთა შორის არიან ამერიკელი მსახიობი ნოა თიშბი, საშა ბარონმა – „დიქტატორის“ შემქმნელმა — მე-13 ადგილი დაიკავა.

ისრაელის პარლამენტარები თბილისში

ცოტა ხნის წინათ თბილისში საქმიანი ვიზიტით ქნესეთის დეპუტატი ქალბატონები — ფაინა კირშენბაუმი და ორით ზუარეცი იმყოფებოდნენ. ისინი საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ჩვენი ქვეყნით მოხიბლულნი დარჩნენ. „მენორას“ კორესპონდენტი მათ ებრაულ სახლში შეხვდა და რამდენიმე შეკითხვაც დაუსვა.

— რა არის საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

ფაინა კირშენბაუმი: ჩვენი ჩამოსვლის მიზანი ისრაელსა და საქართველოს შორის რიგ საკითხებში ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაა, ამიტომ ვხვდებით არა მარტო პარლამენტის წარმომადგენლებს, არამედ საქართველოს ებრაულ თემს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საქართველოს ებრაული თემი შეიძლება ის ხიდი იყოს, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის. ვიცით, რომ ისრაელში საქართველოდან ბევრი ტურისტი ჩამოდის, ქართველი სპეციალისტები ჩვენს ქვეყანას კვალიფიკაციის ამაღლების მიზნითაც სტუმრობენ, რადგან ჩვენთან არის დიდი გამოცდილება მაღალ ტექნოლოგიებში, განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ჩვენ აქ ვეძებთ იმ თემას, სფეროს, რომლის განვითარებაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობით იქნება შესაძლებელი.

— როგორ მოგეწონათ საქართველო?

ორით ზუარეცი: საქართველოში პირველად ვარ. დღეს რამდენიმე შეხვედრა გვქონდა. ვხედავთ, რომ ქალაქი სწრაფი ტემპით ვითარდება. ხალხი ძალიან კეთილგანწყობილია, თბილად გვხვდებიან და ყველგან გვეპატიჟებიან, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ხალხს სურს ურთიერთობა და განვითარება. არის ის სფეროები, რომელთა განვითარებაც ჩვენ გვინდა, მაგალითად, ეკონომიკა, მედიცინა. ისრაელელებისთვის საქართველო უცნობი ქვეყანაა, ისრაელელთა უმრავლესობამ არ იცის, თუ რა ლამაზია ეს ქვეყანა და რამდენი ღირსშესანიშნაობების ნახვა შეუძლიათ აქ. გვინდა საქართველოს შესახებ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს და ამ ქვეყანაში ჩამოვიდნენ. ის ხომ ასეთი ლამაზია. იმ ხალხმა, რომლებსაც აქ ოჯახები და ახლობლები ჰყავთ საქართველოს შესახებ იციან, დანარჩენებმა — არა.

ფაინა კირშენბაუმი: ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო საქართველო აქამდე, მაგრამ ვხედავთ, რომ ქალაქი შენდება, იცვლება და ლამაზდება. ეს აშკარაა. ძალიან სუფთაა და ძალიან მოგვწონს. ბევრი სიმწვანე და პარკებია, მთლიანობაში ძალიან მყუდრო ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. იმედი გვაქვს ამ ლამაზ ქვეყანას კვლავ ვეწვევით.

— დიდი მადლობა საუბრისთვის.

მეგობრის ხსოვნას

2012 წლის 1 მაისს 72 წლის ასაკში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ისრაელში გარდაიცვალა მათემატიკის დოქტორი ამირან იანეცი.

ამირანი დაიბადა ქ. თბილისში 1940 წლის 6 აპრილს /ებრაული წელთაღრიცხვით 5700 წლის 27 ადარ ბეთი/ ტრადიციულ ებრაულ ოჯახში.

ამირანმა ბავშვობა გაატარა ქ. თბილისის ძველ უბანში — სალოცავების მდებარე უბანში, ყოფილი აზიერას ქუჩაზე. 1947 წელს სწავლა დაიწყო ქ. თბილისის მე-3 ვაჟთა რუსულ საშუალო სკოლაში.

მისი თორის მასწავლებლები იყვნენ საქართველოში სახელგანთქმული რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილი და ხახამ დავითი/ცნობილი „მწყეროს“ სახელით/.

მათემატიკის დიდი სიყვარული ამირანს სკოლაშივე ჩამოუყალიბდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მასწავლებელს, ნიკოლოზ თავდგირიძეს. მათემატიკისადმი ინტერესის მნიშვნელოვნად გაძლიერებას ხელი შეუწყო ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მათემატიკის წრეში სიარულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დამსახურებული მასწავლებელი, იმდროინდელი ქ. თბილისის პუშკინის სახელობის /შემდგომში სულხან-საბა ორბელიანის/ ინსტიტუტის დოცენტი გრიგოლ ჯაფარიძე და მოსწავლეთა მათემატიკურ ოლიმპიადებში წარმატებულმა მონაწილეობამ.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც მოღვაწეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები.

ამირანი, ხშირად აღნიშნავდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტისათვის დამახასიათებელი იყო სწავლების მეტად მაღალი დონე. ის დიდი სიამოვნებით იხსენებდა იმ საინტერესო და მიმზიდველ ლექციებს, რომლებსაც კითხულობდნენ პროფესორები არჩილ ხარაძე, ვლადიმერ ჭელიძე, დავით კვესელავა, ლევან მაღნარაძე, იოთამ /ბიბი/ ქარცივაძე და სხვ.

მესამე კურსიდან ამირანმა აირჩია გამოთვლითი მათემატიკის მიმართულება, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტში სათავეში ედგა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი შალვა მიქელაძე.

ამირანის სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ი. ქარცივაძე, ხოლო სადიპლომო დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

სადიპლომო ნამუშევარმა დაიმსახურა „ფრიადი“ და ამირანი აკადემიკოს შ. მიქელაძის რეკომენდაციით გამოთვლითი მათემატიკის კათედრაზე იქნა მიღებული სამუშაოდ.

1965 წლიდან ამირანმა მეცნიერ მუშაკად მუშაობა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ინჟინრული და ფიზიკური ამოცანების განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელოვანი პიროვნება და ცნობილი მეცნიერი, ალექსანდრე /იაშა/ ხვოლესი. აქ მისი ძირითადი სამეცნიერო თემატიკა იყო იმ ხანად მნიშვნელოვნად აქტუალური მაღლივი თაღოვანი კაშხლების სიმტკიცის გაანგარიშებისათვის ვარიაციული მეთოდების გამოყენება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორი კონსტანტინე ხუბერიანი და ალექსანდრე ხვოლესი.

1973 წელს ამირანმა პრაქტიკულად დამთავრებული სადისერტაციო ნაშრომი დაუცველად მიატოვა და ახალშეუღლებულ ინჟინერ ავრორა ხაზან-ფიჩხაძესთან ერთად ისრაელში ამოვიდა, სადაც მას მალე შეეძინა ვაჟი დავითი და მშვენიერი ქალიშვილი რივკა-როზეტა.

ისრაელში, ოლეხადაშისათვის დამახასიათებელი ერთწლიანი გზის გაკაფვის შემდეგ, ამირანმა დაიწყო მუშაობა ისრაელის მეტეოროლოგიის სამსახურში /ინსტიტუტში/, სადაც განვლო გზა მათემატიკოს-პროგრამისტიდან განახლებადი ენერგიის განყოფილების გამგემდე.

დასაწყისში, მისი კვლევის სფერო იყო ისრაელისათვის აქტუალური ღრუბლების ფიზიკის ამოცანების რიცხვითი რეალიზაცია და მიღებული შედეგების გამოყენება ისრაელის პირობებისათვის. ეს თემატიკა სრულდებოდა ასევე საქართველოდან ამოსულ ფიზიკოსებთან, დოქტორებთან შალვა წიწუაშვილსა /ჯგუფის ხელმძღვანელი/ და ისაკ ენუქაშვილთან ერთად.

1980 წლიდან მისი სამეცნიერო ინტერესები მიმართული იქნა ისრაელისათვის განსაკუთრებით აქტუალური თემატიკისაკენ — მზის ენერგიის გამოყენება. ამირანი აქტიურად მუშაობდა ამ თემატიკასა და მასთან ახლომდებარე საკითებში, როგორიც არის გამოყენებითი კლიმატოლოგია, მზის ენერგია, სტატისტიკური მეთოდები მეტეოროლოგიასა და კლიმატოლოგიაში, კლიმატის შეცვლა, სტატისტიკური კლიმატოლოგიის მოდელების შექმნა, მზის ენერგიის გამოყენების ოპტიმიზაციის პრობლემები და სხვ.

ამ თემატიკაში ამირანი ყოველწლიურად აქვეყნებდა სამეცნიერო შრომებს ისრაელისა და მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ჟურნალებში და მონაწილეობდა ისრაელის და მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციებში. იგი არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ნაშრომისათვის „რადიაციული რეჟიმის მოდელები არაჰორიზონტალურ სიბრტყეებზე /ფერდობებზე/და მათი გამოყენება ისრაელის კლიმატურ პირობებში“ მიენიჭა სადოქტორო ხარისხი.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, დოქტორი ამირან იანეცი წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ისრაელის ბარ-ილანის უნივერსიტეტში. იგი არ იფარგლებოდა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით და ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც.

ამირანი არჩეული იყო ისრაელის მეტეოროლოგიური საზოგადოების სწავლულ მდივნად. 1992 წლიდან პენსიაზე გასვლამდე ირჩევდნენ /ყოველ ორ წელიწადში ერთხელ/ მეტეოროლოგიური სამსახურის უმაღლესი განათლების მქონე პირების /აკადემაიმების/ და ინჟინრების კომიტეტის /ვაადის/ თავმჯდომარედ. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პირადად ნაცნობი, თუ უცნობი ოლეხადაში /ისრაელში ახალამოსულების/ ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლების და ინჟინრების აბსორბციის გაადვილების საქმეში, გზაზე დაყენებასა და სამსახურში სპეციალობით მოწყობაში.

ამ წლების განმავლობაში მას ღირსეულად ედგნენ მხარში მისი ოჯახის წევრები — მეუღლე — ავრორა ხაზანი, ვაჟიშვილი, იერუშალაიმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გამოყენებითი ფიზიკის დოქტორი დავითი და ბარ-ილანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, დოქტორი გამოყენებითი სტატისტიკის სპეციალობით მშვენიერი ქალიშვილი — რივკა-როზეტა, სიძე ალონ ფრენკელი. ბოლო წლებში მას სიცოცხლეს უხალისებდნენ მისი შვილიშვილები ბენი და იონათანი.

იგი მეტად ერუდირებული და ღრმად განათლებული ადამიანი, გონიერი და უტყუარი მეგობარი, მეტად ყურადღებიანი პიროვნება იყო. დააკლდება ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ისრაელის საზოგადოებას. ამირანი მისი საცხოვრებელი ადგილის — ნევე მონასონის მლოცველთა საზოგადოების აქტიური წევრი იყო 35 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ჯამაათის მოთავეებმა მისი დაკრძალვის ხალხმრავალ ცერემონიაზე დიდი პატივისცემით აღნიშნეს მისი ღვაწლი ადგილობრივი ჯამაათის ცხოვრებაში.

ამირან იანეცი — იეჰოშუაყ ჩაჩანაშვილი 2012 წლის 2 მაისს — 5772 წლის იარის 10-ს დიდი პატივისცემით დაიკრძალა წმინდა ისრაელის იეჰუდის სასაფლაოზე.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას!

მეგობართა ჯგუფი

ირანის ებრაელები

დღეს ირანში დაახლოებით 25 ათასი ებრაელი ცხოვრობს. 1979 წელს კი მათი რაოდენობა 100 000 იყო. 1979 წელს მუსლიმური რევოლუციის დროს ქვეყანა ბევრმა ებრაელმა დატოვა.

მთელი ამ წლების განმავლობაში მუსლიმური რეჟიმი ებრაელებს საკმაოდ ნორმალურად ექცეოდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ანტისემიტურ აფეთქებას. 2000 წელს ირანში ებრაელებისაგან შემდგარი ტერორისტული დაჯგუფება „აღმოაჩინეს“. 13 ნასამართლევიდან რამდენიმე შპიონაჟითაც იყო დაკავებული.

მეჯლისში ებრაული ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენელიც არის. იგი ტრიბუნიდან საუბრობს, რომ „ჩვენ (ირანის ებრაელები) ყოველთვის ჩვენი ქვეყნის მხარეს ვიდგებით, ვისაც კი არ უნდა ეომებოდეს იგი, და ვისთანაც არ უნდა ჰქონდეს კონფლიქტი“. დღეს ებრაული სათემოების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. არავინ იცის მომავალში რა და როგორ იქნება. ირანის საკითხებში სპეციალისტების აზრით, ებრაელებს არანაირ შემთხვევაში არ შეეხებიან. „ისინი რეჟიმს სჭირდება, ამიტომ ყველაფერი კარგად ქნება“, — ასეთია ერთ-ერთი მოსაზრება. სხვა აზრიც არსებობს: „თუ რეჟიმს პრობლემები შეექმნება, დამნაშავეებს — ებრაელებს უცბათ იპოვიან, ყველაფერი ძალიან მარტივია“.

ასეა თუ ისე, თეირანთან შორიახლო მდებარე დანიელ წინასწარმეტყველის საფლავზე, ყოველდღიურად ასობით ადამიანი ლოცულობს. საფლავი წმინდაა როგორც ებრაელებისთვის, ასევე მუსლიმებისთვის.

კითხვაზე, თუ რას ითხოვდნენ ლოცვისას თითქმის ყველამ, როგორც ებრაელებმა ასევე მუსლიმებმა უპასუხეს, რომ ლოცულობდნენ მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, იტყობინება ZMAN.com.

შოტლანდიის ებრაელები

შოტლანდიის ებრაული სათემოს საბჭოს ცნობით, შოტლანდიელი ებრაელები მალავენ თავიანთ რელიგიურ კუთვნილებასა და ეროვნებას, რათა თავიდან აიცილონ თანამოქალაქეების აგრესია. რაც შეეხება შოტლანდიაში მცხოვრებ ისრაელელებს, ორაზროვანი სიტუაციის თავიდან ასაშორებლად ისინი საკუთარ თავს თურქებად ან ფრანგებად ასაღებენ.

იმ უსიამოვნებებს შორის, რომლებიც შოტლანდიაში ებრაელს ხვდება არის შემდეგი: ებრაული სათემოების საბჭომ ნებადართულად ცნო საავადმყოფოში ყოფნის დროს ქაშერ საკვებზე უარის თქმა და სასკოლო გუნდში საშობაო ჰიმნების მღერა. ამას გარდა, ისრაელელი ბავშვები ხშირად ცუდ დამოკიდებულებას ხვდებიან როგორც თანაკლასელების, ისევე მასწავლებლების მხრიდან.

სტუდენტები კი აღნიშნავენ, რომ საუნივერსიტეტო ქალაქებში ანტიისრაელური განწყობა ღვივდება. ებრაული სათემოების პრობლემა შოტლანდიელების უმრავლესობას არ ესმის, უცნაურობას ვერ ხედავენ იმაში, რომ ამ სათემოს წარმომადგენლები ნელ-ნელა ისრაელში ან ლონდონში გადადიან საცხოვრებლად.

სხვათა შორის, შოტლანდიის ებრაული სათემოს წევრებს არ სურთ სამშობლოს დატოვება. მათი ძალები მიმართულია ქაშერი საკვების გავრცელებისაკენ, ებრაული განათლების გაუმჯობესებისაკენ და გლაზგოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ებრაელების სოციალური დახმარებისაკენ.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003